

**სსიპ კასპის კოლეჯში
უსაფრთხოების უზრუნველყოფის, წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო
დახმარების აღმოჩენის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ კასპის კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურებს.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმებისა და პროცედურების განხორციელებაზე პასუხისმგებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და პირველად სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირები, ასევე კოლეჯის ხელმძღვანელი და თანამშრომლები საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

1. კოლეჯი უზრუნველყოფს:
 - ა) კოლეჯის კუთვნილი ქონების დაცვას;
 - ბ) კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფას
 - გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას;
 - დ) კოლეჯის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დახმარებას გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში);
 - ე) უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებს;
 - ვ) საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას

მუხლი 3. უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების უფლებები და ვალდებულებები.

1. კოლეჯში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს დაცვის უფროსი და დაცვის თანამშრომლები.
2. დაცვის უფროსი:
 - 2.1. უზრუნველყოფს სამუშაო და სასწავლო გარემოში სიმშვიდისა და წესრიგის დაცვას;
 - 2.2. ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომის, ინციდენტის და სხვა მსგავს შემთხვევებში ახდენს რეაგირებას დაწესებულების შინაგანაწესის შესაბამისად;
 - 2.3. უზრუნველყოფს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვას დაზიანებისგან;
 - 2.4. უზრუნველყოფს უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

- 2.5. საჭიროების შემთხვევაში, ახდენს კოლეჯის შენობაში მყოფ პირთა ევაკუაციის კოორდინაციას.
- 2.6. ნებისმიერი საფრთხის შემცველი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში, რომელმაც შეიძლება გამოწვიოს დაწესებულების კუთვნილი ქონების დაზიანება, პერსონალის/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჯანმრთელობის ან/და სიცოცხლის დაზიანება, გარემოს უსაფრთხოების დარღვევის ფაქტი, მოქმედებს დაუყოვნებლივ დამრღვევთა გამოსავლენად და ზიანის თავიდან ასაცილებლად/აღმოსაფხვრელად კანონმდებლობის შესაბამისად;
- 2.7. ახორციელებს დაცვის თანამშრომელთა ზედამხედველობას, მათი მორიგეობისა და შვებულებების/დროებითი შრომისუუნარობის პერიოდის მონიტორინგს;
3. წესრიგის დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში დაცვის უფროსი ვალდებულია მოხსენებითი ბარათით მიმართოს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით;
4. დაცვის თანამშრომელი:
 - 4.1. უზრუნველყოფს კოლეჯის შენობისა და გარე პერიმეტრის უსაფრთხოების, სასწავლო აუდიტორიების, მატერიალური ფასეულობებისა და ინვენტარის მოვლა-პატრონობა და დაცვა;
 - 4.2. მონაწილეობს კოლეჯსა და საერთო სარგებლობის ფართში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის პროცესში;
 - 4.3. უზრუნველყოფს ელექტროენერჯის, სანტექნიკის, და სხვა სისტემების დაცვასა და უსაფრთხოებას;
 - 4.4. უზრუნველყოფს კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის უსაფრთხოებას;
 - 4.5. უზრუნველყოფს კოლეჯის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას;
 - 4.6. დახმარებას უწევს შშმ პირებს კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილების დროს;
 - 4.7. ყოველი სამუშაო დღის ბოლოს ამოწმებს აუდიტორიებსა და კაბინეტებს (ელექტროგაყვანილობა, სანტექნიკა, კარ-ფანჯარა და სხვა);
 - 4.8. ახორციელებს კოლეჯის ტერიტორიაზე თამბაქოს, ალკოჰოლური და სხვა თრობის საშუალებების მოხმარების კონტროლს.

მუხლი 4. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები

1. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით კოლეჯის შენობაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული საევაკუაციო გეგმა, (რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება), წესრიგის დაცვის სხვა მანიშნებლები;
2. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით და ინვენტარით (ცეცხლმაქრები), მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან;
3. პროფესიული სტუდენტის ან/და კოლეჯის თანამშრომელის მხრიდან ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში (ჩხუბი, კოლეჯის ინვენტარის დაზიანება, წესრიგის დარღვევა, უხამსი საქციელი, ბილწისტიყვობა და სხვა) წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი დაცვის თანამშრომელი, რომელმაც აღმოაჩინა დარღვევა, დაცვის უფროსთან და ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომელთან ერთად ადგენს ოქმს, სადაც აღწერილია დარღვევის არსი, დამრღვევის მონაცემები (გვარი, სახელი, პირადი ნომერი, სპეციალობა, ჯგუფი), დამრღვევის ახსნაგანმარტება. შედგენილი ოქმი განსახილველად გადაეცემა დისციპლინურ კომისიას/კოლეჯის ადმინისტრაციას, რომელიც ხელმძღვანელობს კოლეჯის შინაგანაწესით.

მუხლი 5. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯში დასაქმებულებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კანონმდებლობით დაშვებული პირველადი დახმარების გაწევას.
2. პირველადი გადაუდებელი დახმარების შესაბამისი ინვენტარი განთავსებულია კოლეჯში შენობის სასწავლო პერიმეტრზე.
3. პირველადი გადაუდებელი დახმარების კარადში ინახება საჭირო სამედიცინო ინვენტარი, სამედიცინო და ჰიგიენური საშუალებები და მედიკამენტები.
4. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელია სპეციალური განათლების მქონე მედდა რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.
5. პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:
 - 5.1. სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მოითხოვოს აუცილებელი სამედიცინო მედიკამენტების შეძენა;
 - 5.2. მიმართოს კოლეჯის ხელმძღვანელს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი სამედიცინო საშუალებების დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი საშუალებე
6. პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:
 - 6.1. კოლეჯში დასაქმებულებს, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს გაუწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
 - 6.2. გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია კოლეჯის ხელმძღვანელობას, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში ასევე მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს;
 - 6.3. პრევენციის მიზნით, გასცეს ინფორმაცია ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების შესახებ ან/და მითითებები მათი გავრცელების თავიდან აცილების პირველადი ღონისძიებების თაობაზე;
 - 6.4. აკონტროლოს კაბინეტში არსებული სამედიცინო საშუალებების ხარჯვა და ვარგისიანობა, ასევე სამედიცინო ინვენტარის გამართული ფუნქციონირება;
 - 6.5. აწარმოოს გამოყენებული სამედიცინო საშუალებების აღრიცხვა, სპეციალურ ფორმაში ინფორმაციის ელექტრონულად ან სპეციალურ ჟურნალში შეტანის გზით;
 - 6.6. პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს კაბინეტში განთავსებულ მატერიალური ფასეულობების, მათი შენახვის/გამოყენების წესების დაცვას.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

1. სსიპ კასპის კოლეჯის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები მტკიცდება და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანა ხდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.